წელიწადი მე-2

საქართველო

ფასი 5 ბ

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] ბულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის წინ 30 [illegible] გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ძ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 463 — ეროვნულ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 463

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაცია გულითადის მწუხარებით აუწყებს მეგობართა და ნაცნობთ თავისი ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის მასწავლებლის

დავით სიმონის ძის ლუკიანოვის

უეცრად გარდაცვალებას. პანაშვიდი 19 ოქტომბერს სასწავლებლის ეკლესიაში დილის 10 საათზე.

ქუთაისის **პირველი** უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ

პედაგოგიურს კურსებზე,

ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს, მიღებული იქნებიან აგრეთვე **ქალებიც**, რომლებსაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. ვინც ამ კურსებს დაასრულებს მიეცემათ **მოწმობა** სახალხო სკოლების მასწავლებლობისა. კურსები ორ წლიანია. მეორე კურსზე მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია. მსმენელებმა თხოვნები და საჭირო საბუთები თვითონ უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე, სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათზე.

დაიბეჭდა ბ. დ. უზნაძისმიერ შედგენილი წიგნი: **„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“** პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა.

ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა“ და ბ. ვ. ეიფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე. 10—3

დავკარგე

14 ოქტომბერს, ნაშუადამევის 2 საათზე მატარებლით მიმავალმა **ყვირილაში კალათი ბოქლომით დაკეტილი, რომელშიაც იყო მანქანის სხვადასხვა ნაწილები**

მპოვნელს ვთხოვთ დაგვიბრუნოს მხოლოდ მანქანის ნაწილები. დანარჩენი ნივთები მას ჰქონდეს და აგრეთვე

მიიღოს ჯილდოთ ხუთი თუმანი (50 მანეთი)

ა დ რ ე ს ი: ყვირილაში ლასო ნიორაძეს ან ჭიათურაში ვიქტორ ბაქრაძეს და დარისპან ღუღუნაშვილს

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. გალანჩევაძისა.

გვურნავ მსაჯით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, შეტ სიწითლეს, ნაკვალევებს და ეოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ულვაშსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასად გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, ბ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

ვაგზალებ მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

ბეგია მ. მ. ქოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფიდიხოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარეიძეი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დიდით $12^1/_2$—2 საათ. სადამოს 6—8 ს.

მისამართი: ლვოვოვი ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ეოველდღე დიდის 11—2 საათამდე, სადამოს 6—8 საათამდე. ბუშუკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. ო.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი **ნევრებისა** და **ვენერიულ** ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან **დილის** 9—12 **საათ.** და **საღ.** 6—8 **საათ.**

3-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ეველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 17 ოქტომბრიდან ახალი პროგრამა

„ქვავის“ ქალი

ა. ბუშკინის ცნობილი მ/ათხრობის კინო-იდეიტრატია 6 ნაწილად მოზეეხინისა, ბანოვანსა და სხვათა მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 17 ოქტომბრიდან ახალი პროგრამა

სიყვარულის ქარიშხალი

დრამა 4 ნაწილად, კარადღისა, კოდრინსკისა და ბერესტიანის მონაწილეობით.

ბედმა გაუღიმა

კომედია 2 ნაწილად, ცნობილ მაქს დინდერის სცენარიით და ავტორის მონაწილეობით

განცხადება.

1 ოქტომბრიდან — გაიხსნა — ჭრა-კერვის კურსები — კატო ალიხანაშვილისა.

კურსი არის ერთ წლიანი, მოსწავლე ქალები ერთი წლის შემდეგ მიიღებენ შესაფერ ატესტატს სახელმწიფო უფლებით. მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება და ჩაწერა დადიანის ქუჩაზე, პატარიძის სახლში ალიხანაშვილთან.

მსოფლიო ომი.

დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი-საგან.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 16 ღვინობისთვე. მდ. სტავიაკზე სიტოვიჩის და რუდკა მირინსკის მიდამოებში მზვერავთა რაზმების შეტაკებაა. დანარჩენ ბრძოლის ველზე ალაგ-ალაგ საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

კავკასიის ასპარეზი სოუჯ-ბულაღის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა შეიპყრო ორი ოსმალეთის ტრანსპორტი. ხამადანის მიმართულებით 15 ოქტომბერს დილით, ოსმალეთის მრავალ რიცხოვანი ჯარი იერიშით წამოვიდა. სასტიკ ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირე შევაჩერეთ. ახმედჯაბად-ნუდას სამხრეთით ქურთები სოფ. ტულიასაკენ გავაძევეთ.

რუმინეთის ასპარეზი. ტრანსილვანიის ბრძოლის ველი. მოპირდაპირემ იერიშები დაიწყო ნეგრეის მიდამოებში, დორნა-ვარტას სამხრეთით, მაგრამ ჩვენებმა შეაჩერეს. მდ. უზის ველში რუმინელებმა სასტიკი შეტევის შემდეგ განდევნეს მტერი და ხელთ იგდეს 10 ოფიცერი და 900 ჯარის კაცი ტყვედ. მდ. ბუზეოს ველზე რუმინელებმა იერიშით აიღეს ტეგერელიუს მთა. კომპოლუნგის ჩრდილოეთით რუმინელებმა დაიკავეს სოფ. ლირეშტი. აქვე შეიპყრეს 300 გერმანელი ტყვედ. მდ. ოლტის ველზე ჩვენმა მოკავშირეებმა ათი ვერსთ წინ წაიწიეს. მდ. ჟიუსთან რუმინელებმა განდევნეს ტურგუჟიულუისთან შემოჭრილი მოპირდაპირე, აქ მათ შეიპყრეს 900 ბავარელი ჯარის კაცი, 2 ზარბაზანი და 4 ტყვიისმფრქვეველი.

დობრუჯი. 15 ღვინობისთვეს თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. ბისტრიცის ორი ნაპირებით, დორნა ვატრის მიდამოში მოპირდაპირემ, საშინელი სიმკაცრით იერიში მოიტანა და გვაიძულა დაგვეტოვებინა ორი მაღლობი. სამხრეთით მათ უშედეგო იერიშები მოიტანეს.

კავკასიის ასპარეზი. არსებითი ცვლილება არსად მომხდარა.

რუმინეთის ასპარეზი. ტრანსილვანიაში მ. ტურგულის ველზე და მდ. ჟიუსთან სასტიკი ბრძოლა გრძელდება.

დობრუჯი. 17 ოქტომბერი. ღირსშესანიშნავი ცელილება არ მომხდარა.

—

სოლუნი. სერბეთის მთავარი შტაბისაგან. ზოგიერთ ალაგას ჩვენ ოდნავ წინ წავიწიეთ მოვიგერიეთ მოპირდაპირის იერიშები და შევიპყარით ტყვეები.

სტოკჰოლმი. გერმანელებმა ჩასძირეს „ვალბორგი“ და „ლიფლანდი“.

ლონდონი, 15 ოქტომბერი. ოფიციალი. მთელი დღე განუწყვეტლივ წვიმს. გერმანელები საშინლად უშენენ ლა-ბასსე და გიულიუზის შუა ბომონა და ამელიას ახლოს. ჩვენ გავაჩაღეთ საარტილერიო ცეცხლი არმანტიერის სამხრეთით.

პარიზი, ოფიციალი. გარდა იმისა, რომ საშინელი საარტილერიო ცეცხლია გაჩაღებული დიუმონის მიდამოებში, სხვა განცვლილება არსად მომხდარა. განუწყვეტელი წვიმები ძალიან აფერხებს მოქმედებას.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 17 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან. არაფერი საყურადღებო არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზი.

ბითლისის ჩრდილოეთით, პეტრაკალეს დასავლეთსა და ჩუხურ-ნოშენის მიდამოებში ჩვენი მზვერავი რაზმები მარჯვედ მოქმედებდნენ. ქამადანის მიმართულებით მტერს დავაცლევინეთ შემდეგი სოფლები: ახმეტაბადი, ინჯიმბაჩი, უჩტეპე, ხატამბადი, ბიანდი და მაზერე.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 16 ოქტომბერი. იტალიის მთავარი ბინის ცნობა. აჯიოს, კარაუიოლის ველებზე და იულიის ალპების ხაზზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. მთელ ასპარეზზე უმეტეს ნაწილად ცუდი ამინდია.

პეტროგრადი. 16 ოქტომბერი. უმაღ. მთავარ-სარდლის შტაბისაგან. ტრანსილვანიასა და დობრუჯაში არსებითი არაფერი მომხდარა.

მაკედონიის ასპარეზი.

სოლუნი. 17 ოქტომბერი. სერბიის მთავარი ბინის ცნობა. მთელ ასპარეზზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებდა. ჩვენ რამდენიმე სანგარი დავიპყრეთ და ერთი სასანგრო ზარბაზანი ხელთ ვიგდეთ.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 17 ოქტომბერი. შუადღის ოფიციალი. სომმის ჩრდილოეთით, საისაზიდან ჩრდილო-დასავლეთით ფრანგებმა სანგრების ერთი სისტემა მთლიანად დაიპყრეს. მეორე ალაგას ფრანგები სიუს საყდარს მიუახლოვდნენ და 60 კაცი დაატყვევეს. სომმას სამხრეთით ბიაშ-მეზონტის ხაზზე ღამე გერმანელებმა რამდენჯერმე ჩვენ პოზიციებს ზარბაზნები მძლავრად დაუშინეს. ყველა იერიშები მტრისთვის დიდი ზარალით მოვიგერიეთ, ხოლო უკანასკნელი განსაკუთრებულ მკაცრი იერიშის დროს მეზონეტის ჩრდილოეთით წინა სანგრებში შემოიჭრენ, გერმანელები გამაგრდნენ ფერმაში და ჩრდილოეთით. გერმანელებმა „97“-ის ბორცვებიდან ფრანგები ვერ განდევნეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ მშვიდად ჩაიარა. რეიმსს გერმანელებმა გამეტებით დაუშინეს ზარბაზნები, რამაც რამდენიმე მცხოვრები იმსხვერპლა.

მაკედონიის ასპარეზი.

პარიზი. 17 ოქტომბერი. მდ. ჩერნაზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ველისელოს ჩრდილოეთით ფრანგთა არტილერიის დახმარებით სერბიელნი გერმანელ-ბულგარელებს შეებნენ. ბრძოლამ მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო. ჩამოაგდეს გერმანელთა საფრენი, რომელიც ფრანგებმა იგდეს ხელთ.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 16 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი. სომმას სამხრეთით დღის 3 საათზე ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ და მდუღარე სითხის შემწეობით მეიუანკურტის სამხრეთით მტერს იერიში მოიტანა, მაგრამ მტერი სროლით უკუვაქციეთ; ვერდენის ჩრდილოეთით მეტად ცხოველი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ მშვიდობიანად ჩაირა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

——

დასავლეთის ასპარეზზე გერმანელებს არტილერია კიდევ ვაუძლიერებიათ და განსაკუთრებით ამრავლებენ მძიმე ზარბაზნებს.

——

ბოლო ხანებში ისპანიაში გერმანეთის აგენტები ფართედ ეწევიან პროპაგანდას.

——

რუმინეთში ყველა მოლაშქრეები ჯარში გაუწვევიათ.

——

კავკასიის ასპარეზზე ოსმალებს ძალები საგრძნობლად შეუსუსტებიათ და თავისუფალი ჯარი სტამბოლისაკენ გაუგზავნიათ.

——

რუმინელებს ნავთსადგური კონსტანცის დატოვების წინ ქალაქის საწყობებში დაგროვილი 150 ათასი ფუთი ხორბალი დაუწვავთ.

——

„ბირჟ. ვედ“-ში შუმსკი სწერს: „თუმცა კონსტანცის ნავთსადგურის აღება ბულგარელების გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მისი გამოყენება ბულგარეთის ორიოდე გემსა და ოსმალეთის ბოსფორში ჩაკეტილ არ შეუძლია, რადგანაც შავ ზღვას ჩვენი ფლოტი უფლობს“ ო.

——

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ. საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ. ბითლისის ჩრდილოეთით მზვერავი რაზმების შეტაკებაა. ქამადანის მიმართულებით რუსებმა ოსმალები ექვსი სოფლიდან განდევნეს.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ. სომმის სამხრეთით, მეიუნეტტთან ფრანგებმა გერმანელების მედგარი იერიშები მოიგერიეს. ბიაშ-მეზონტის ხაზზე გერმანელებმა რამდენჯერმე საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მიიტანა, მაგრამ ფრანგებმა მოიგერიეს, მხოლოდ მეზონეტტის ჩრდილოეთით გერმანელები ფრანგთა სანგრებში შეიჭრენ და გამაგრდნენ. „97“-ის ბორცვები ფრანგებმა შეინარჩუნეს. სომმის ჩრდილოეთით საისაზთან ფრანგებმა გერმანელთა სანგრების მთელი სისტემა დაიპყრეს. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ. აჯირს ველზე საარტილერიო ბრძოლა იყო.

ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ. მდგომარეობა უცვლელია.

ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ. სერბიელები დღის განმავლობაში მარჯვედ იბრძოდნენ.

დობრუჯაში 50 ვერსიან ბრძოლის პირზე ბულგარელებს ათი დივიზია ყოლიათ. ასეთი მჭიდროება მხოლოდ ბელგეთ-საფრაგეთის ასპარეზე იყო აქამდის.

——

ბუქარესტის დაცლა გაჩქარებით სწარმოებს. ქალაქიდან გააქვთ სამინისტროს არქივები; გადიან აგრეთვე ელჩები, კონსულები დედაკაცები და ბავშვები მუდამ დღე ათასობით მიდიან ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ. ქალაში მხოლოდ მამაკაცები რჩებიან.

——

სამხედრო ავტორიტეტები აღნიშნავენ, რომ დობრუჯის ასპარეზზე ჩვენმა და რუმინელების ჯარმა დასტოვეს ჩერნოვოდის ხაზით ტბა ტასავლუ.

რუმინელები სცდილობენ შეაჩერონ გერმანელების მკაცრი იერიშები, რომელიც მიმართულია ბუქარესტის წინააღმდეგ.

——

როგორც „რუსსკოე სლოვოს“ ატყობინებენ პარიზელი სამხედრო მიმომხილველნი რუმინელებს თურმე დუნაის მარცხენა ნაპირას გადასვლას ურჩევენ. ამასთან ერთად ისინი სახიფათოდ სთვლიან ინგლისელების შეხედულებას, თითქო დობრუჯი მეორე ხარისხოვანი ფრონტი იყოს ინგლისში თურმე იმ აზრისა არიან, რომ საუკეთესო დახმარება რუმინეთისა სომაზე შეტევის გაძლიერება იქნებაო.

——

პარიზელი გაზეთები აღნიშნავენ, რომ ჟოფრის გენიოსური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემწეობით ფრანგებმა ვერდენთან შვიდი საათის განმავლობაში თითქმის სრულიად დაიბრუნეს გერმანელების მიერ ცხრა თვის განმავლობაში დაბყრობილი ადგილები.

——

რუმინეთის მეფე ფერდინანდმა მოწოდებით მიმართა ჯარს. ამ მოწოდებაში ნათქვამია, რომ შვიდი კვირის ომის შემდეგ მტერმა საზღვრები გადმოლახა და ახლა რუმინეთის არმიას სამშობლო ტერიტორიის დაცვა უხდება შემოსეული ურდოებისაგან „ველი, რომ ყველა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს ქვირფასი სამშობლოს დასაცავად, რომელიც საშიშ მდგომარეობაში იმყოფება. უკან დახევა დანაშაულია“.

——

ენკენისთვის განმავლობაში გერმანელთა წყალქვეშა ნავებმა დაჰლუპეს ნორვეგიის 25 გემი, 26 მილიონ კრონად ღირებული. მთელს ომის განმავლობაში დაღუპნიათ სულ 162 გემი, 220 ათასი ტონა წყალწყვისა, 75 მილიონ კრონად ღირებული. გერმანელებს აუარებელი ჯაშუშები ჰყოლიათ ამ ქვეყანაში, რომელნიც გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ თუ ვინ რითი სტვირთავს გემს. რაწამს შეატყობენ გემს ინგლისისთვის, ან საფრანგეთისთვის რაიმე დანიშნულება აქვს, მას დაღუპავს არ გაუშვებენ. გერმანელთა წყალქვეშა ნავები ფრიად სარგებლობენ ნორვეგიის საგანგებო ნაპირებით და ფიორდებით, სადაც გულ დამშვიდებით ისვენებენ მოთარეშენი.

სანუგეშო ამბავი.

ამას წინეთ ზესტაფონის ინტელიგენციას საშუალი სასწავლებლის დაარსების შესახებ ბჭობა ჰქონია და უპირატესობა სამეურნეო სკოლისთვის მიუკუთნებია.

ეს დადგენილება სწორედ დროზე შეაფერია. დღეს, შეიძლება ითქვას, გიმნაზიების, სემინარიებისა და რეალურისა, სამასწავლებლოსი და სასულიერო სასწავლებლებისა — გადამეტებული სიმრავლეა. რასაკვირველია, რომელიმე ტიპის სასწავლებელთა რაოდენობის კმაყოფა შედარებითი საზომით უნდა გავზომოთ და, უეჭველია, სხვა პირობათა შორის, რაც მოგვეპოება, ესი იმდენიც კი არ გვეყოფოდა. მაგრამ დღეს წონასწორობა დარღვეულია, სასწორი ცალი მხარეზე გადახრილა და სამეურნეო სწავლა თითქმის სრულიად ყურადუღებელია.

მარტო ქუთაისში ორი სავაჟო გიმნაზიაა, ერთი სავაჟო რეალური სასწავლებელი, ერთი სავაჟო სემინარია, ერთი ქალთა საეპარქიო სასწავლებელი და სამი ქალთა-გიმნაზია. და მხოლოდ ერთი დაბალი სამეურნეო სკოლაა!

მართალია, ხსენებული საშუალი სასწავლებლებიც გვჭირდება: უმათოდ ჩვენს ცხოვრებას არავითარი წინსვლა არ შეეძლო და ჩვენს ეროვნულ სხეულს არა მარტო სულიერი, არამედ ქონებრივი საზრდოც მოაკლდებოდა; ინტელიგენცია ყველგან საჭიროა: ადმინისტრაციასა და სასამართლოში, საკრედიტო დაწესებულებასა და ქარხანაში, სამასწავლებლოსა, სამეცნიეროსა და სამწერლო სარბიელზე; და, როდესაც ზოგიერთი სოციალისტური ჯგუფი ინტელიგენტსა და მუშას ერთმანეთს უპირდაპირებს, ე. ი. ინტელიგენტს მუშად არ აღიარებს, ეს ეგრეთწოდებული დემოკრატიული რეაქციაა, რომელიც თვით არისტოკრატიულ რეაქციაზედაც უფრო მავნებელია.

მაშასადამე, იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენს საშუალ სასწავლებლებში სწავლა სქოლასტურის, დრომოქმული მეთოდით წარმოობს, რომელიც პედაგოგიკის, აღზრდის, აუცილებელ მოთხოვნათა უარყოფას წარმოადგენს, მეტი გზა არა გვაქვს, ქვეყანაში ვერ გამოვსხლტებით და, ჩვენდა უნებურად, როგორც რუსეთში ზრდიან, ჩვენც იმავე წესით უნდა აღვზარდოთ ჩვენი შვილები: პედაგოგიური, აღზრდითი, მჭარე — სოციალურს, საზოგადოებრივს უნდა დავუმორჩილოთ.

მეორე მხრით, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა არც სამეურნეო განათლებას აქვს. და, რადგან ამ მხრით ძლიერ ჩამოვრჩით, დღეს, ვიდრე სამეურნეო სასწავლებელთა რაოდენობა დარღვეულ წონასწორობას არ აღადგენს, უპირატესობა მათ უნდა მივანიჭოთ.

მაგრამ აქ ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა აღსანიშნავი. სამეურნეო სასწავლებლის დაარსების ინიციატორებმა უნდა იცოდენ, რომ მეურნე მამა-კაცი, როდესაც ქალი მხარში არ უდგია, უმწეოა. მამა-კაცმა რომ ოფლის წურვით ბაღ-ვენახები აკეთოს, ქალმა კი წვრილფეხის მოშენების, ბოსტნის კეთების, აბრეშუმის მოყვანისა და სხ. მაგიერად ბანქო და ლოტო ითამაშოს, მეურნის შრომა ხომ ფუჭად, უსარგებლოდ გაივლის!

მაშასადამე, საჭიროა შერეული, ე. ი. ქალ-ვაჟთა სამეურნეო სასწავლებელი, რომელშიაც ქალები მეურნეობასთან ერთად მეოჯახეობასაც ისწავლიან.

დროა უკუვაგდოთ აზიური სიზანტე, კვიეტიზმი და არისტოკრატიზმი და შევითვისოთ ევროპული მხნეობა, შრომის მოყვარეობა და მომჭირნეობა.

ᲙᲐᲡᲘᲐᲜ ᲬᲘᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

15 ოქტ. შესდგა შავი ქვის მრეწველთა კრება ბ. ცეიტლინის თავმჯდომარეობით და გუბერნატორის თანადასწრებით. ერთხმად დაადგინეს, რომ საბჭომ იზრუნოს რათა გერმანელთა მამულების შეძენაში მას უპირატესობა მიეცეს. კრებამ აგრეთვე ერთხმად დაადგინა რომ ეთხოვოს ბ. ნ. ნიკო ნიკოლაძეს საბჭოსთან ერთად იმუშაოს. საბჭოს თავმჯდომარე ბ. კიტა აბაშიძე სიამოვნებით შეეგება ნიკოლაძის არჩევას და სთხოვა კრების სურვილს დასთანხმებოდა. ნიკოლაძე დასთანხმდა. საფუთო გადასახადი გადიდებულ იქმნა ორ კაპეიკამდე.

ამავე კრებამ ერთხმად დადგინა შეიძინოს სალიკვიდაციო მამულები. კრებამ დაავალა საბჭოს განსაკუთრებულ კომისიასთან ერთად, რომელშიაც ნიკო ნიკოლაძე, ანდრია ქავთარაძე და პეტრე წერეთელი შედიან, სათანადო ზომები მიიღონ ამ საქმის მოსაგვარებლად. დიდი უმრავლესობით უცხოელ ექსპორტიორების წინააღმდეგ გადიდებულ იქმნა საფუთო გადასახადი. კრება თექვსმეტში დაიხურა.

ხუთშაბათს ქალაქის თეატრში, ადგ. დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ზუდერმანის 4 მოქმედებიანი დრამა „ივანობის ღამე“.

ადგ. მომხმარებელთა საზ. „კოოპერაცია“ ამ დღეებში მიიღებს შაქარს. საზოგადოება შაქარს მიჰყიდის მხოლოდ თავიანთ წევრებს, თითო პირს არა უმეტეს 5 გირვანქისა.

ქ. ფოთიდან, ქალაქის გამგეობამ მიიღო ექვსი ვაგონი პურის ფქვილი, მოელის კიდევ 8 ვაგონს, რომელიც გამოგზავნილი ყოფილა.

15 ოქტომბერს ხოლერით ავათ გახდა და თავის ბინაზე იქნა დატოვებული ივანე სულაბერიძე, (რუბანის ქუჩა, საკუთარი სახლი). მოკვდა ხოლერით. სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი დავით ლუკიანოვი. 17 ოქტომბერს გაიგზავნა ბარაკში ანნა სუხარევსკაია, თბილისის ქუჩიდან, რომელსაც ექიმის ცნობით, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის დროს ხოლერის ვიბრიონები არ აღმოსჩენია.

17 ოქტომბრამდე ხოლერით ავათ გამხდარა სულ 35 პირი: ამათგან მომკვდარა 19, ბარაკში იმყოფებიან 9, თავიანთ ბინაზეა დატოვებული 5.

ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს კრებაზე სასთრსათო საქმეების მომწესრიგებელმა კომისიამ ადგ. ვაჭრებს გაუნაწილა 148 ვაგონი.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაციისაგან ამხანაგის დავით სიმონის ძის ლუკიანოვის გარდაცვალებისა გამო, ნაცვლად გვირგვინისა, ოცდახუთი მანეთი ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გადასცემათ.*)

*) ეს ფული უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ. **რედ.**

✦ ამ ახლო მომავალში ლიახვი ფერეიდანელების მსმენელები, მმსწავლებელთა და ახალხო უნივერსიტეტის [illegible] რებით მოაწყობენ აკაკი წერეთლის ხსოვნის პატივსაცემად სალიტერატურო დილას.

✦ 15 ოქტომბერს ქალაქის სასანიტარო კომისიის მიერ დათვალიერებულ იქნა ივანოვის და კათოლიკეების ქუჩები, ივანოვის ქუჩაზე ანტისანიტრული მდგომარეობისათვის ოქმი შეუდგინეს სახლის პატრონ ვ. ჭილაძეს და კათოლიკეების ქუჩაზე კი კაკიტელაშვილს.

✦ საჭირო წერა კითხვის საზოგადოების, ყალამშისა, იკაურთისა და წერაქვის სკოლებისათვის მასწავლებლები. ჯამაგირი არის თვეში 54 მან. ბინა, შეშა და მსახური უსასყიდლოდ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო დაარსდეს მომხმარებელი საზოგადოებები შემდეგ ადგილებში: სოფელ გულეიკარში სენაკის მაზ. სახელწოდებით „იდეალი.„ ს. გულისკარში ზუგდიდის მაზ. „მომხ. საზოგადოება“ ს. საპაიჭოში ქუთაისის მაზ. „ჩვენი ოჯახი.“

✦ ოსმალეთიდან გადმოხვეწილთა დასახმარებლად მთავრობას დღემდე დაუხარჯავს 25 მილ. მანეთი.

✦ ქუთაისის მომხმარ. საზოგადოება „კოოპერატივ“ ამ დღეებში მიიღებს სარეცხ საპონს, რომელიც გაიყიდება მხოლოდ წევრებზე. აგრეთვე მოელის წუმწუმას. დღეიდან მაქრის, საპონის, წუმწუმის და სხვა საწოვაგის შესაძენათ შემოდებულია ბარათებითი სისტემა, ამიტომ წევრებმა უნდა შეიძინონ ბარათები საზოგადოების ფურნეში, გენერლის ქუჩაზე და სანოვაგის შეძენის დროს წარმოადგინონ, რომ შიდ აღინიშნოს საქონლის მიღების დრო საჭიროა ბარათები შეინახონ სუფთათ.

ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ.

— ონტოფოში (სამეგრელო) ბართლომე ნადარეიშვილს ღამე სახლში შეუცვივდა 6 კაცისაგან შემდგარი ყაჩაღთა რაზმი. გაძარცვეს მთელი ოჯახის ქონება რაც რომ მოიძებნებოდა, ფულიანად წაიღეს 1500 მანეთამდის, და მიიმალენ.

— ქ. ბორი. ს. მუხლეთსა და ტყემლოვანს შუა 3 შეიარაღებული პირები თავს დასხმია ებრაელ ი. მოშიაშვილს წაურთმევია 50 მან. ფულათ და 200 მან. ფართლეული და მიმალულან.

— ს. სკრაში, ივანე მაზიაშვილს, სათადარიგო ჯარის კაცის ცოლ — მარიამ მაისურაძისათვის ხანჯლით მუცელი გამოუჭრია. ქალი იმ წამსვე გარდაცვლილა. მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე მომხდარა.

— სოფელ ჩალხეთის (შორაპნის მაზ.) მცხოვრები გიორგი ჭუმბაძე ხანჯლით თავში მძიმეთ დასჭრა ბესარიონ საყვარელიძემ.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.

დასასრული იხ. „სამშ.“ № 462.

დავუბრუნდეთ ისევ სომხეთის საკითხს. პეტერბურგის მთავრობასა და სომეხთა მოღვაწეებს ყველაფერი მზათ ჰქონდათ: პროექტი სომხეთისა, შეთანხმება ორივე მხარეთა, დიდძალი ფული; საჭირო იყო მხოლოდ აქტიური მოქმედების დაწყება.

პირველ რიგზე დააყენეს ყარაბახის სახანო. გადაწყდა დაეპყროთ ყარაბახი, ჩამოეგდოთ ტახტიდან იბრაჰიმ-ხანი და მმართველად დაესვათ რომელიმე სომეხი. დაამზადეს ჯარი, დანიშნეს სარდლები. ექსპედიცია უნდა დაწყებულიყო 1784 წლის ზაფხულში.

ყველაფერი ეს არ იყო უცნობი სპარსეთისა და თვით იბრაჰიმ ხანისათვის. ისინი აწუხებდენ სომხებს, კბილებს ილესდენ საქართველოზე და თვითონ ეძებდნენ სომხებში იდუმალ მომხრეებს-თავიანებისა და ქართველთ მეფის მოღალატეთ.

ამასობაში ავარეთის ხანი ომარი თავის მრავალ რიცხოვან ლეკთა ჯარით, შემოესია ქართლს, აიკლო იგი, გასწია იმერეთის საზღვრისაკენ და ალყა შემოარტყა თავად აბაშიძეთა მაგარ ციხეს ვახანეს.

რუს-ქართველთ ჯარი მას უკან დაედევნა, მაგრამ სანამ ესენი მიუსწრებდნენ, ომარმა მიიწვია თავადი აბაშიძე მოსალაპარაკებლათ, დაატყვევა ის და დაუწყო მას წამება ციხის დამცველთა თვალ-წინ.

ციხის გარნიზონმა ვერ გადიტანა მოხუცი თავადის წამების ცქერა და მტერს დანებდა.

ომარმა მთელი ოჯახი აბაშიძისა ციხის დამცველებითურთ ამოხოცა და თვით ციხე-კი ნანგრევებათ აქცია. ეს ამბავი მოუვიდა ერეკლეს. რუსის ჯარმა და ერეკლემ ვერ გადასწყვიტეს მრავალ რიცხოვან მტერთან შებმა. ომარი თავის ლაშქრით უკანვე დაბრუნდა ავარეთში, ხოლო გზადა გზა ყველაფერი ნაცარ-ტუტათ აქცია...

რუსეთს ამავე დროს მეორე ომი უხდება ოსმალეთთან და რუსის ჯარი იმპერატრიცას ბრძანებით სტოვებს საქართველოს; მიდის რუსეთში, და ანგრევს ყველა ციხე სიმაგრეებს, რომელნიც მათ საქართველოსკენ მიმავალ გზებზე ჰქონდათ აშენებული.

სომეხთა საკითხი დროებით გადადებულ იქმნა.

სპარსელებმა და იბრაგიმ-ხანმა სომხეთის შისწრაფებით გაჯავრებულებმა, დაუწყეს მათ დევნა. იბრაგიმ-ხანმა დიდი უმრავლესობა მელიქებისა ამოსწყვიტა. ბევრმა მათგანმა ერეკლე მეფის კალთებს შეაფარა თავი. მელიქების შახ ნაზაროვების თხოვნით ერეკლემ 500 სომეხი, ყარაბახიდან გამოქცეული, დაასახლა შულავერში, სადაც ახლაც სცხოვრობენ...

1779 წელს მოკვდა სპარსეთის შაჰი ქერიმ ხანი, რომელთანაც კარგ განწყობილებაში იყო ერეკლე მეორე. იმის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის საქმეები აირია. სხვა და სხვა თემთა და ტომთა წინამძღოლნი ერთმანეთს ებრძოდნენ. ყველა მაგათგანი ლამობდა ჰერანის მბრძანებელის ტახტის ხელში ჩაგდებას. ყველაზე უფრო მძლავრი შეიქმნა მაზანდერანის კაჯართა მეთაური აღა მაჰმად ხანი, ოდესმე ნადირ-შაჰის მიერ დასაჭურისებული. მან უცბათ დაიმორჩილა ყველა მოწინააღმდეგენი. სისხლითა და უმოწყალო ხოცვა-ჟლეტით შექმნა თავისი ძლიერება, და თავის თავი ჰერანის მბრძანებლათ აღიარა 1794 წელს. მას არ უნდოდა შაჰინ-შაჰის გვირგვინი თავზე დაედგა, სანამ არ დაიბრუნებდა ყველა იმ პროვინციებს, რომელიც განშორებული იყო სპარსეთისაგან. მეორე წელს (1795) აღა-მაჰმად ხანი დაიძრა საქართველოსკენ... აქ ზედ-მეტია აღწერა იმ უბედურებისა, რომელიც დაატყდა საქართველოს და მის მეფეს ერეკლეს, რუსეთისკენ ცქერის გამო. ხოლო ეს-კი ცხადია, რომ იგი შეიქმნა ღალატისა და დაუნდობლობის მსხვერპლი.

იოსებ არღუთინსკის, მაწანწალა მწერალს არარატსკის, თბილისის ქალაქის მოურავს დარჩო ბებუთოვს, ყარაბახელ მელიქებს მეჯნუნი და აბო შახნაზაროვებს დიდი წილი უდევთ ამ საზიზღარ საქმეში.*)

*) Ген.-лейт. Кишмишев, „Походы Надир Шаха„ Илья Хонели къ 100 лѣтію Крцанисской битвы.

ბევრნი იყვნენ მღალატენი თვით ქართველებშიაც. ზოგს მოღალატეობაზე აიძულებდა შური, ქიშპი, რაღაც პირადი ინტერესი, ზოგს ანგარება და ზოგისთვის-კი საქართველოს დაღუპვა პირდაპირ საჭიროებას წარმოადგენდა თავის დიდ გეგმათა და მოსაზრებათა ასასრულებლად, ხოლო შემდეგმა მომხდარ ამბებმა დაგვანახვეს, რომ ამ სამარცხვინო და საზიზღარ მოქმედებითა, და უმადურობა — გაუტანლობით მაინც თავის მთავარ მიზანს ვერ მიაღწიეს.

ამ დამარცხებამ ძირი გამოუთხარა საქართველოს არსებობას, მანვე წელი მოსწყვიტა აზიის უძლეველ ლომს, ირაკლის, რომელიც შექმნილი იყო მხოლოდ გამარჯვებისთვის და რომელმაც თითქმის არც კი იცოდა რა არის დამარცხება.

ის, ვინც მონაწილე იყო 150 ბრძოლისა, ვისაც თავის სიცოცხლეში უგემნია 150 გამარჯვება, ვისი სახელიც ქუხდა ევროპასა და აზიაში, წვირლმანი უთანხმოებისა და იდუმალ ზრახვათა მსხვერპლი შეიქმნა. ამ დამარცხებამ დაიჩქარა ადრევე დაწყებული პროცესი, რომლის მოსპობა-გამოსწორება ისევ შეიძლებოდა; ამავე დამარცხებამ მოამზადა ნიადაგი ბაგრატიონთა ათასი წლიანი დინასტიის წაქცევისა.

დიდია სიბრძნე ომის წარმოებისა, მტერთა დამარცხება, ძლევამოსილება, მაგრამ სულ სხვაა საღი და გამჭრიახი პოლიტიკა...

რუსეთს ოსმალეთთან ომი უკვე დასრულებული ჰქონდა. რუსეთმა გადასწყვიტა სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრება და ჯარის გაგზავნა საქართველოში გრაფ ზუბოვის უფროსობით. ეკსპედიციის გეგმა უკვე მზად იყო.

აქაც ჩაერია არქიეპისკოპოზი იოსებ არღუთინსკი, რომელიც მაშინ პეტროგრადში იყო. პოტიომკინის საშუალებით მან იმპერატრიცას შეაცვლევინა საეკსპედიციო გეგმა და ნაცვლათ ჯარის პირდაპირ საქართველოში გაგზავნისა, საქართველოს სამეფოს დასახმარებლათ, იგი გაგზავნილ იქმნა ყარაბახში, სადაც მრავალრიცხოვანი სომხობა ცხოვრობდა. ზუბოვის ექსპედიციას თან გამოყვა იოსები და მან დიდი სამსახური გაუწია მას ამიერკავკასიისა და სპარსეთის სომეხთა შორის დაახლოვება-დამოკიდებულებაში. მისს მწყემს-მთავრულ სიტყვებს ყველგან დიდი გავლენა ჰქონდა.*)

რუსის ჯარმა დაიპყრო დარუბანდი, შემახა, ბაქო და განჯა. ამ დროს გარდაიცვალა იმპერატრიცა ეკატერინე მეორე და მისმა მემკვიდრემ პავლე პირველმა ჯარი უკანვე გაიწვია...

აღა-მაჰმად ხანი დიდძალი ჯარით ხელმეორედ დაიძრა საქართველოსკენ. გზაზე მან განიზრახა დასჯა ყარაბახელთა, რომელთა ხანი იბრაჰიმი მას არ ემორჩილებოდა და ალყა შემოარტყა შუშას. ხანი გაიქცა. ქალაქი და ციხე სპარსელებმა

*) იხ. С. Эсадзе. Историческая записка. т. 2 стр. 154.

— ს. უშაფათში, 11 ოქტომბერს, სამი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველნი სახლში შეუცვივდენ ამავე სოფლის მცხოვრებთ პავლე კორშიას, უტუია და ბათულა შეროზიებს, და სიკვდილის დამუქრებით მოსთხოვეს მათ ფული, როდესაც მათგან უარი მიიღეს ძალით წაართვეს პირველს 1 მ. და 50 კ. მეორეს 8 მ და 90 კ. და მესამეს 6 მ. ფული თოფი და სხვადა სხვა ნივთები, ამავე დროს წინადადება მისცეს პავლე კორშიას, რომ შემდეგისათვის მოამზადოს 200 მანეთი. ბოროტ გამზრახველნი მიიმალენ. მიღებულია ზომები მათ აღმოსაჩენათ.

— საზიზდარი მხეცობა. 11 ოქტომბერს, სოფელ დიმში ალფესი გვინჯილიას სახლში შეკვივნულან გიორგი ჩუბინიძე და ივანე ჟვანია რომლებსაც მოუტაცნიათ მისთვის 13 წლის გოგო და გაუქროლებიათ მეორე სოფლისკენ, სადაც ერთ მტაცებელთაგანს სახელდობრ გიორგი ჩუბინიძეს ნამუსი აუხდია საწყალი ბავშისათვის.

— შორაპნის მაზრაში სიმონ და ფათუა შოთაძეებმა, ვლადიმერ გამეზარდაშვილმა, იოსებ შოთაძემ, იაფეტ კახიძემ და პეტრე ღვალმა მოიპარეს 12 ცხენი, რომლებიც ეკუთვნოდა ტყიბულელ გლეხებს ქურდები დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

— ს. ჯალადიდში ხეტყის მრეწველ ან. გერანდიას. ს. თეკლათის მცხოვრებმა დეზერტიორმა მოსე გარუჩავამ შეუვარდა კანტორაში მოსთხოვა 100 მან. როდესაც უარი მიიღო, გაიტაცა ის ტყეში და სროლით მოუნდომა შეშინება, ამ დროს გერანდიამ თვით დასჭრა გარუჩავა, რომელმაც გაქცევა მოსწრო, მიღებულია ზომები მის დასაჭერად.

თ ბ ი ლ ი ს ი.

— მიწის მზომელთა სასწავლებლის მოწაფეებს ნება მიეცათ ყველა უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა, რომელიც კი ექვემდებარება მიწად მოქმედების სამინისტროს.

— უწმიდეს სინოდიდან მოვიდა ქალალდი 700 ათას მანეთის გადადების შესახებ საქართველოს საეგზარხოსოს სამღვდელოების დასახმარებლად იმ 10 მილიონ მანეთიდან, რომელიც იმპერიის სამღვდელოების სასარგებლოდ გადაიდო.

— საქვ. საზ. კასის მდგომარეობა. 16 ღვინობისთვეს საქველმოქმედო საზოგადოების კასაში იყო: 1) საქველმოქმედო საზოგადოების თანხიდან 21127 მ. 52 კ. (შემოვიდა წლის განმავლობაში 55458 მ. 26 კ.—დაიხარჯა 34330 მ. 74 კ.), 2) ტატიანეს კომიტეტის თანხიდან 17128 მ. 43 კ. (შემოვიდა 142373 მ. 76 კ. დაიხარჯა 125245 მ. 33 კ.), 3) გადმოხვეწილთათვის ტანთსაცმლის დასამზადებელ თანხიდან 598 მან. 1 კ. (შემოვიდა 162413 მ. 01 კ. დაიხარჯა 161815 მ.) 4) პეტროგრადის საგანგებო თათბირის თანხიდან 28464 მან. 61 კ. (შემოვიდა 60753 მ. 29 კ.—დაიხარჯა 28464 ę. 61 კ.) 5) კნ. ობოლენსკის თანხიდან 68 მან. 58 კაპ. (შემოვიდა 4856 მ. 83 კ. დაიხარჯა 4788 მ. 25 კაპ.) 7) მეფის ნაცვლის კანცელარიის თანხიდან 276 მ. 65 კ (შემოვიდა 4266 მ. 87 კ დაიხარჯა 3990 მ. 22 კ.) სულ კასაში ამ ჟამად ნაღდი ფულია 67663 მ. 80 კ. სულ შემოსულა წლის განმავლობაში 430122 მ. დახარჯულა 362458 მ. 22 კ.

ტერიტორიის საკითხი.

(დასასრული იხ. „სამშ“. №462.)

დროებით მივიღოთ ის შეუძლებელი მოძღვრება რომ, თითქოს ეგრეთ წოდებული „რეალური მოსახლეობა“ საკმარისი იყოს ჩვენთვის.

ვინც დახედავს დღევანდელ საქართველოს რუქას, ის ნათლად შეამჩნევს, რომ აღმოსავლეთის ის ალაგები, რომელთაც ჩვენთვის უაღრესი ეკონომიურ და აგრეთვე არა ნაკლებ თვალსაჩინო სტრატეგიული ღირებულება აქვთ (რაც უკანასკნელად ბ. თ. ღლონტმაც აღიარა). უკვე დაკავებულია სომხებისაგან. მაგრამ არც მარტო ეს მშრალი ფაქტია დამაფიქრებელი! დამაფიქრებელი და საშიში ისაა, რომ სომხების გადმოსვლას საქართველოში საზღვარი არ უჩანს. ახალ ქალაქში, ბორჩალოში და თბილისში სოლივით შემოიჭრა ეს სამშობლოდან ლტოლვილი ხალხი, და გზა და გზა თითქოს ბუფერებს იმაგრებენო, დასავლეთისკენ მოდიან. მოცლილი როდი იყო ის ცნობილი სომეხი, რომელმაც გეგმა შეადგინა „დიდი სომხეთისა“. ამ გეგმის ძირითადი მოთხოვნილებით, სომხეთმა ყოველ ეჩვს გარეშე გამოსავალი გზა უნდა მონახოს შავიზღვის ნაპირებისაკენ. აბავინ იტყვის, რომ ეს გზა საქართველოს არ გადაჭრის იმ მედგარი იერიშების შემდეგ, რომელსაც ამიერ კავკასიის სომხები აღმოსავლეთიდან დასავლეთით აწარმოებენ?!

ასეა თუ ისე შესაძლებელ ფაქტთან გვაქვს საქმე, და რამდენადაც ამ ფაქტს მივაყურებთ, იმდენად ისტორიულ სარბიელს ჩამოვცილდებით.

არ ანაკლებ საყურადღებოა სომეხ-ქართველთა ურთი-ერთობის მესამე მხარე. როგორც ვიცით, სომხები ებრაელებივით გაბნეულია ყველგან. ვინ იცის რამდენი ათასი სომეხი სცხოვრებს რუსეთში, დასავლეთ ევროპაში თუ ამერიკაში. მაგრამ მათ უმრავლესობას ისევ ოსმალეთსა და სპარსეთში აქვს ალაგი მართალია, თანამედროვე ომმა სომეხთა პოლიტიკური საკითხი მოსპო „ჰაისტანში“, მათი ფიზიკური განადგურებით, მაგრამ უმრავლესობა ისევ აზიის მიდამოებშია.

რადგანაც ისტორიულმა პირობებმა ჩვენი ინტერესები ერთ მეორეს აგრე დაუკავშირა. ყველგან ცალ ცალკე თვით-მართველობას ხომ არ მისცემენ მათ!?

სომხის ერის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოგვარება უთუოდ უნდა მოხდეს ერთს განსაზღვრულ სივრცეზე და საინტერესოა, რატომ მაინც და მაინც საქართველოში უნდა მოხდეს ეს პოლიტიკური აქტი და არა სხვაგან სადმე?

ამრიგად ჩვენს წინ იშლება საკითხის სამი მხარე. ერთი ის, რომ რეალური მიწა-წყალი არ გვყოფნის. მეორე ის, რომ სომეხთა აგრესიულ პოლიტიკას საქართველოში საზღვარი არ აქვს, რაც მთელს ჩვენს მერმისს საეჭვოდ გახდის. მესამედ ის, რომ თვით სომეხთა სახელმწიფოებრივი საკითხი მრავალგვარი შესაძლებლობის წინაშე დგას.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ, ასეთს საბედისწერო პირობებში შევურიგდეთ სომხის ერის ინტერესებს საქართველოში? აქვს თუ არა რაიმე აზრი ჩვენის მხრით „დათმობით პოლიტიკას“. რა თქმა უნდა არა! რა ვქნათ, რომ სომხის ერიც ისეთივე დევნილ შეიეწროებულია, როგორც ჩვენ. საქმე ისაა, რომ დევნილს კიდევ ღონე შერჩენია, და ამ ღონეს ჩვენზე სცდის.

საქმე ისაა, რომ ქართველ გლეხს მიწა არ ყოფნის, ხოლო მთელ ერს სამშობლოს ბეჭ-სიმაგრენი ერთ-მეორეზე ერღვევა, მისი მომავალი სათუო ხდება.

რას გვეუბნება თუ გნებავთ მარტო პოლიტეხნიკუმის, თბილისის თვით-მართველობისა და ერობის ისტორია? სომხები სხვანაირად ვერ მოიქცეოდენ და არც შემდეგში მოიქცევიან! ამ ერს შემოხაზული, სახელდებული სამშობლო არ აქვს. უკან მიუხედავად სტოვებენ დიდ ჰაისტანს და ამიერ-კავკასიაში მკვიდრდებიან. აქ ყველაფერი ბუნებრივია მათის მხრით, რადგანაც ყველა უსამშობლო ერი ამ გზას ადგია. ამასვე ჩადიან ებრაელები პოლონეთში. მაგრამ მათთვის ბუნებრივი და კაკონიერი მიდრეკილება, ჩვენთვის მომაკვდინებელი და გამანადგურებელია. რა მოსატანი არის ასეთ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ქართველ თავად-აზნაურობამ დაყიდა თავის ადგილ-მამულიო. ამ შავბნელი ისტორიიდან რატომ უნდა გამოვიტანოთ ის დასკვნა, თითქოს ჩვენ არ ვიყოთ ღირსი ერთხელ დაყიდული მიწა-წყლის დაბრუნებისა?

საკითხს თუ ასე დავაყენებთ, მაშინ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ ჩვენს უფლებრივ ძიებაზე,

ხელი უნდა ავიღოთ თვით ზღაპრულ კულტურულ თავისუფლებაზედაც, რადგან ეს თავისუფლებაც ჩვენის სისუსტით დავკარგეთ.

ნამდვილად კი ვერც ერთი ქართველი ამას ვერ დასთმობს. ქართული ისტორიული ტერიტორიაც ასეთი ხასიათისაა, მაგრამ აქ იმასაც ამბობენ, რომ ამით სხვა ერის ინტერესს შევლახავთო. საკვირველია ჩვენი გულუბრყვილო ლიბერალობა!

ქართველი ერის ინტერესი, როდის ყოფილა ვისგანმე პატივცემული! როდის უწევდენ და ან დღეს ვინ უწევს ანგარიშს ჩვენს ეროვნულ იდეალებს? უცხოელები, ევროპიელები არ გვიცნობენო და ამ მხრივ სარეკომენდაციო ორგანოზედაც ვოცნებობთ. ჭეშმარიტად, ქართველებს შნო არ გვაქვს ეროვნული უფლებების ძებნაში. გვავიწყდება უმთავრესი რამ, გვავიწყდება რომ „მიზანი უფლებისა არის მშვიდობა, ხოლო საშუალება ამ მიზნის მისაღწევად არის ბრძოლა“.

აქიდანვე გამომდინარეობს მთელი ჩვენი შეცდომა ტერიტორიის საკითხშიც. საქართველო უნდა აღსდგეს თავის ისტორიული საზღვრებში. ამას მოითხოვს არა რაღაც მოჭრილი ქართული იმპერიალიზმი, არამედ ერის სიცოცხლის კანონი, თავდაცვის ალღო. სომხებს შეუძლიათ იწამონ ეს ჩვენი სურვილი, შეუძლიათ არა. ჩვენ კი სხვა გზა და სხვა საშუალება არ დაგვრჩენია შელახული პიროვნების აღსადგენად.

ვენ.

ტარაღანები,

ანუ ფუტურისტები ქუთაისში.

(დასასრული, იხილეთ „სამშობლო“ №461.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ვიდრე განვაგრძობდე ამ მეორე წერილს, საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით ადგნიშნო შემდეგი:

როგორც სჩანს, ჩვენში არსებულ ერთერთ „ცნობილ მამართულების“ ქუთათური ორგანოს რედაქცია **უნდა სულით ენათესავებოდეს** ტარაღანებს და ვერა იყოფენ რა ბირდაბირ მათს დატვას, გუშინდელი ჩვენი წერილი გაუბურთავებია და სამარადღეანი გულის წყრომა სადად მოუზრახავს ქართველობისა—ფუტურისტებისა. [illegible] გამო,—ის გულის წყრომა [illegible] ხატვაც შეძლებისა და გვარად შეგულ, თავისებურად გაუმასხარავებია და ერთი წიხლი რომ მე მკრა იმ პატივცემულმა გაზეთმა, ათასი თითონ მოირტყა!*)

მე მაკვირვებს ასეთი საქციელი **პარტიული** ორგანოისა! ადბად ან სულ არა ჭეოდია პატრონი გაზეთს და იგი სხვისი ნაცოხნით იკვებება, ხოლო თუ ჭეავს—ფუტურისტებს ჩავარდნიათ ხელში მთელი მათი პარტია...

ამას მოგახსენებთ იმავე პარტიის დირსების დასაცავად თორემ ზოგი ერთი მათგანი რომ მზათაა გაზეთი „სამშობლო“ თავის შხამში დაარჩინოს,—ეს ბირადად მე არც მაწუხებს და არც მაშინებს, რადგანაც,—ჩვენი ხალხის თქმულებისა არიოს,—გველი რომ გაბრაზდება, ქვას შეახლის თავს და ისე კვდება ხოლმე მე იმედი მაქვს, რომ ერის მშვენიერ დღეს დიდი გველების პატარა წიწილები „სამშობლოზე“ დაჯახებით სამარცხვინოდ განუტევებენ თავის ფუტურო და მდარე ხარისხის სულს!..

რაც შემეხება კერძოდ მე,—თქვენს უმოირბილეს მონას, და იმ წერილის დირსებას, რომელიც „დაჯადანად“ მონათლეს (მაშ რის ფუტურისტები იქნებიან, თუ „ახალი“ უზრო სიტყვები არ გამიგონეს!) ჩემი თავიცა და ჩემი წერილებიც ქართველი საზოგადოებისათვის მომინდვია მსჯავრის დასადებად.*)

ამ მცირე შენიშვნის შემდეგ ვიდეც „ეგო—ფუტურისტისა და ამხანაგობის გულის გასახეთქად, არხეინად განვაგრძობ ჩემს წერილს.

——

იმ დღეს დამავიწყდა განსაკუთრებით აღმენიშნა, რომ ბ-ნი პაოლო იაშვილი დიდი მოხერხებული „არაფუტურისტი“ გამოდგა თუმცა ფუტურისტულად კი გაფცქვნა ქუთათური ინტელიგენცია და მოწაფეობა. (ახია მათზე!)

ბ-ნ იაშვილის „არა ფუტურისტობას“ გვიჩვენებს მისი მშვენიერი ქართული ქულაჯა, ის გარემოება, რომ სამჯერ იჯმნა. ფუტურისტებისაგან და ოიტის ოდენა ცოდნაც ვერ გამოიჩინა ფუტურისტთა მოძღვრებისა. ისე აურია ერთმანეთში მარინეტი, ბოდლერი, ვერლენი, სიმბოლიზმი და რუსულ-ფრანგულ-იტალიანური ფუტურიზმი, რომ ფეტვი-სომხის ერის კუთვნილებას, რომელიც უნდა გადაეცეს შთამომავლობას ნიშნად უერთგულესობისა რუსეთის ტახტისადმი. და მან ეს ღრამოტა სომეხ თავადთა სასულერო პირთა და საპატიო მოქალაქეთა კრებულს გადასცა დიდის ზარითა და ზეიმით. ეს იყო დასასრული დიდი სომხეთის შექმნისა.

რუსეთის იმპერატორის ტიტულს მიემატა „ხელმწიფე სომეხთა ოლქებისა“.

ოცდა ათიან წლებში გენერალის ლაზარევის, შთამომავლობით სომხის, მეცადინეობით 40 ათასამდე სული სომეხი გადმოასახლეს სპარსეთიდან ამიერ კავკასიაში.

იმავე ხანებში სომხებმა შეადგინეს პროექტი სომეხთა რეგულიარული ჯარის შედგენის შესახებ, მაგრამ ესეც განუხორციელებელი დარჩა.

შემდეგში გენერალმა პასკევიჩმა ძალიან ცუდი თვალით დაიწყო ცქერა სომხებს.

დაგვრენია ორიოდე სიტყვა შესახებ იოსებ არღუთინსკისა. რუსეთის დიპლომატიის დიდი მეცადინეობით ის აღიარებულ იქნა ეჩმიაძინის კათალიკოსად, მაგრამ სანამდი ეჩმიაძინში ჩავიდოდა თბილისში უეცრად გრდაიცვალა, საერთო აზრი იყო მოწამლესო.

ბ. ჯაიანი.

*) ალოცვილები, აღარ დამამთავრებინებდენ მაინც წერილს? მაგრამ ალბათ ძალიან აეწვათ გვერდები. ი. ი.

*) გუშინ ერთმა ცნობილმა ფედერალისტებმა და წევრმა მათი გაზეთის რედაქციისამ დიდი აღშფოთება გამოსთქვა ჩემი წერილის ასე უკბილოთა და უგერგილოდ გადამახინჯებისა გამო. ვსთხოვ ამ პატივცემულ ქართველს ყურები აუწიოს „ეგო—ფუტურისტს“. ამტ.

დაიკავეს და აქ ბევრის ჯავრი ამოიყარეს აქვე დაიღუპა ცნობილი ყარაბახელი მგოსანი დიდი ერთგული და მეგობარი ხანისა, ვაკაფი.

საქართველო ისევ მზადებაში იყო.

ერეკლე მეფის სურვილი იყო სამაგიერო გადაეხადა შაჰისთვის, მაგრამ მტარვალი შაჰი ერთღამეს, როდესაც მას იბრაგიმ-ხანის სასახლეში ეძინა, მისმა დაახლოებულმა პირებმა მოჰკლეს*). სპარსთა ჯარი ამის შემდეგ აირ-დაირია; დაიტაცეს შაჰის გვირგვინიდან ძვირფასი თვლები, დაძარცვეს ყველაფერი და დაბრუნდნენ სპარსეთში.

მეორე წელიწადს 1798 წ. გარდაიცვალა ერეკლე მეფეც. სამეფოს საქმეები ისედაც აწეწილი, უფრო აიწეწა. ტახტზე ავიდა გიორგი მე 13—ე...

ორი წლის შემდეგ ისიც მოკვდა. ტახტზე ავიდა მისი უფროსი შვილი დავითი, მაგრამ იმპერატორმა პავლე პირველმა საქართველო რუსეთის პროვინციათ აღიარა. ამ მოულოდნელმა ამბავმა ძლიერ დააღონა ხალხი. არ იცოდნენ რა ექნათ. ჯერ კიდევ იმედს არ კარგავდნენ. ამ დროს თბილისში გაჩნდა იოსებ არღუთინსკი, უკვე სრულიად სომეხთა კათალიკოსი. მან მთელი თბილისის სომხობის დასწრებით პარაკლისი გადიხადა ვანქის ტაძარში. დიდის ზეიმითა და სიხარულით აუწყა ხალხს: მოისპო დამოუკიდებელი სამეფო საქართველოვო. იგი შეეიერთა დიდმა რუსეთმა, დადგა დრო სომეხთა ერის აღორძინებისაო...

ბატონიშვილები იოანე, ბაგრატი და მიხეილი გიორგის ძენი თავადთ ავალიშვილისა და ფალავანდიშვილის თანხლებით გაემგზავრნენ პეტერბურგს ახალი თხოვნით, რომელიც ბაგრატიონთა დინასტიას უფრო შეეხებოდა. ვიდრე სამეფოს სახელმწიფოებრივ საკითხს.

პავლე პირველმა ქართველთა რწმუნებულების მოლოდინში მოამზადებია საქართ-ველოს მეფეთა სამოსელი, რომ მათ შეხვედროდა ისე, როგორც საქართველოს მეფე, მაგრამ სანამდი ეს რწმუნებულები ჩავიდოდნენ და მას წარუდგებოდნენ, იმპერატორს ღამით საწოლ ოთახში შეუვარდნენ შენთქმული ოფიცრები და სარტყელით წაახრჩვეს...*)

მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე პირველმა თავის მანიფესტით 1801 წლის, 12 სექტემბერს აღიარა საქართველოს რუსეთთან შეერთება. ასე უბრალოთ გათავდა ეს დიდი სახელმწიფოებრივი აქტი რუსეთის ისტორიაში დაქართველი ერის ცხოვრებაში. მადლობა ღმერთსო, ამბობდა სტატსკი სოვ. ფადეევი თავის „წერილები კავკასიიდან“—ში, რომ საქართველოს შეერთება გათავდა სწორედ პავლეს დროს. თუ რომ დაგვიანებოდა სამი ან ოთხი წელიწადი, ალექსანდრე პირველის მეფობის პირველ ნახევარში, როდესაც ევროპის დიდი ომები სწარმოებდა, ჩვენ კავკასიის საქმეებისთვის ვერ მოვიცლიდით და 1815 წლიდან-კი ყოველგვარი ნაბიჯი ჩვენგნით ამ მხარესკენ გამოიწვევდა მთელს ქვეყანაზე კავკასიის საკითხს, რომელიც მიიღებდა მთელი ევროპის საკითხის ხასიათსო.

ალექსანდრე პირველის დროს ბევრათ შეიცვალა ეკატერინეს სასახლისებური ელფერი. მან დიდი სომხეთის საკითხი ასე გადასწყვიტა: სომხეთი უნდა გავათავისუფლოთ, მაგრამ შემოერთებულ საქართველოს გვერდით დამოუკიდებელ სომხეთის აღდგენაზე ფიქრიც ზედმეტიაო. სპარსეთი-კი დიდათ ავიწროებდა და სდევნიდა სომხებს. ამ დროდან დაიწყო სომეხთა მოსვლა საქართველოში.

მთავარმართებლის პავლე ციციანოვის დროს, მიუხედავათ იმისა, რომ ის ცივად ეპყრობოდა სომხებს, მრავალი სომეხი გადმოსახლდა სიღნაღსა, თელავისა და ბორჩალოს მაზრებში და ლორისში ისინი ამუშავებდნენ მიწას, იყენენ რუსის ჯარისთვით გზის მაჩვენებელნი. მთავრობას ატყობინებდნენ თუ ვინმე ღალატსა ან ურჩობას განიზრახავდა და სხვ.*) აგრეთვე სომხებმა თავი გამოიჩინეს ჯახეთის ამბოხების დროს. ამის შესახებ რტიშჩევი სწერდა უქვეშევდომულეს მოხსენებაში „სომხებმა, რომელნიც შეადგენენ წარჩინებულ (Знатную часть) ნაწილს საქართველოში, გამოიჩინეს ურყევი ერთგულება და სამსახური ტახტისადმი, ისინი არეულობის დროს სტოვებდნენ თავის მამულ დედულს და უშიშრად იბრძოდნენ მათ წინააღმდეგო.

ამის პასუხად იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1813 წლის 12 სეკტემბრის თარიღით უპასუხა უმაღლესი ღრამოტით. აი ეს ღრამოტაც: „სრულიად კეთილ ქვეშერდომს სომხის ხალხს, საქართველოსა შინა მცხოვრებს. სომეხთა ყველა წოდებამ დაამტკიცა გრძნობები მადლობისა და ერთგული ქვეშევრდომობისა მრავალმხრივი გამოცდითა და ურყევი ერთგულებითა ყოველ ნაირ შემთხვევებში. ისინი განსხვავდებოდნენ სამაგალითო შეურყეველობითა და ერთგულობითა როდესაც უგნურება და ბოროტი-სურვილება სცდილობდა ჩვენ მიერ საქართველოსა შინა განმტკიცებულ წესიერების დარღვევას და ჟამსა არეულობისასა იყვნენ მაგარი და უცვლელნი ერთგულებასა თვისსა ჩვენდამი და ტახტისა ჩვენისადმი, დაუზოგველად ქონებისა თვისისა-და თვითსიცოცხლისაც სარგებლობისათვის სამსახურისა ჩვენისათა და საერთო სიკეთისათა. იყავნ შენახულ სიგელი ესე საპატიოთა და სადიდებელად მათთა და სახსოვრად შთამომავალთა“.

გენერალი რტიშჩევი ამ სიგელს აძლევს დიდს ყუდრადღებას, როგორც მთელი სომხის ერის კუთვნილებას, რომელიც უნდა გადაეცეს შთამომავლობას ნიშნად უერთგულესობისა რუსეთის ტახტისადმი. და მან ეს ღრამოტა სომეხ თავადთა სასულერო პირთა და საპატიო მოქალაქეთა კრებულს გადასცა დიდის ზარითა და ზეიმით. ეს იყო დასასრული დიდი სომხეთის შექმნისა.

*) არის ვერსია, შაჰი ქართველმა მოკლაო.

*) შენთქმულ ოფიცერთა რიცხვში ერია აგრეთვე თავადი იაშვილი.

*) Потто. Кавк. война т. 3 ст. 722.

ვით გათავოავდა.

საკვირველი მხოლოდ ის იყო,—როგორ მოითმინა მთელი საათისა თუ მეტის, განმავლობაში ბ-ნ იაშვილის შეხანხლულ ამ ცხრა წვენაში ჭყუმპალობა სავსებით სავსე თეატრმა და რატომ არ დასტოვა დარბაზი.

ეს კიდევ ცოტაა! ის პატივცემული პირი, რომელსაც ბ-ნმა იაშვილმა „ქართველთა შორის პირველი ესთეტიკოსისა და არისტოკრატის“ სახელი უწოდა, გაჯავრდა კიდეც, რატომ პარტერი ტაშს არ უკრავსო*).

ჭეშმარიტად, უცნაური და საკვირველი საზოგადოება ყოფილა ჩვენს კურთხეულ ქუთაისში.

ბ-ნ იაშვილის „მეორე თქმაზე“ ტაშის დაკვრისა რა მოგახსენოთ (პირველი თქმა დაბეჭდილია ნეტარ-ხსენებულ „ცისფერ ყანწებში“) და ბ-ნი კამენსკი რომ ყოვლად ნიჭიერი ფუტურისტი ყოფილა, ამის უარისყოფა კი შეუძლებელია.

არა ყოფილა უნიჭო „ფუტურისტი ცხოვრებაში“ ბ-ნი ჰოლცშმიტდტიც ორი იყოს საჯაროდ გამოსვლა, მაინც მომზადებაა საჭირო და ისე გატლეკილი და ცარიელ-ტარიელი არ უნდა მოევლინოს საზოგადოებას, როგორც ეს მოიმოქმედა პატივცემულმა ბ ნმა პაოლომ (პავლემ).

ბ-ნმა კამენსკიმ დაგვანახვა, რომ იგი დიდად ნაკითხია თავისი მიმართულებისა და შწერლობის ზედ მიწევნით მცოდნე, კარგად განათლებული და მჭერ მეტყველი კაცი ყოფილა.

ბ-ნმა ჰოლცშმიდტმა კი ნათელ ჰყო, რომ არც იგი არის მოკლებული გაადამიანების სურვილს, თუმცა ორივე სახელოვანმა ფუტურისტმა ბოლოს მოუკრეფავში გადატოპეს და ადამიანური, გასაგები ცნებანი პირველ ყოფილ კაცის ენით გამოსთქვეს, იმ ენით, როცა ხალხმა შორისდებულობის მეტი არა იცოდა რა და ლუღლუღ ჩხავილ-ბღავილით გამოქხატავდა ხოლმე თავს სულის კვეთებას.

აი აქ არის კიდეც უბედურება (და თუ გნებავთ არა ნორმალობაც), საზოგადოდ, ფუტურისტებისა!*)

ან მთელი კაცობრიობაა გიჟი, რომ საუკუნოების განმავლობაში დაიმუშავა „ქრისტიანული“, ენა და ტერმინები, ან და ყველა ჯურისა და ყველა ერის (მათ შორის ქართველების) ფუტურისტები არიან „ცოტა უკაცრავად“, რომ უარსა ჰყოფენ დამუშავებულ ენა ტერმინებს და ველურებივით თავიდან იწყებენ რაღაც უცნაურ ახალ სიტყვების გამოგონებას, რომელი სიტყვებიც, გეგონია, თითონაც არ ესმით!...

ასეა თუ ისე, კაცობრიობა ჯერ-ჯეროობით ფუტურისტებს სთვლის ასე ვსთქვათ, აფრაკებად, გადარეულებად, ხოლო მთელ მათ მიმართულებას კი უაღრეს აბდაუბადად ავადმყოფურ მოვლენად და შემდეგში რა იქნება, ეს მომავალმა იფიქროს.

განა ავადობა არ არის, თუ ღმერთი გწამთ, ისეთი გამოთქმა მათი, როგორიცაა მაგალითად „Танго съ коровами (ტანგოს ცეკვა ძროხებთან) облака въ штанахъ (შარვლიანი ღრუბლები) штаны въ облакохъ (ღრუბლიანი შარვალი) „чулки съ панталонами“ („ჩულქები ნიფხვიანად“) და სხვა.*)

*) ვარწმუნებთ ბ-ნ იაშვილს, და კომპანიას, რომ მათზე ნაკლებ არც ჩვენ ვაფასებთ ჩვენებურ „ესთეტიკოსებს“, მაგრამ არაა ლამაზი, როცა რუსებისა არ იყოს „კუკუშკა ხვალიტ პეტუშკა, ა პეტუშოკ კუკუშკუ“-ო. ავტ.

*) სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა კამენსკიმ დიდი ტაქტი გამოიჩინა ჩვენში. დროებით ფრთები შეაკრა თავის უაღრეს ფუტურისტობას და ცოტა შერეულისა მაგრამ უფრო გასაგების ლექსით შეამკო ჩვენი ქუთაისი, რამაც ერთ ხანს მოინადირა ქუთათურების გული. ამ ლექსის ავტორს ეტყობა, რომ ერთი ბეღი აკლია თავსა თუ გულში, თორემ დიდებული სახალხო მგოსანი იქნებოდა!..

*) ფედერალისტების ვიღაც ეგო—ფუტურისტმა გუშინ უზრდელობაში ჩამომართვა ფუტურისტების სიტყვები რომ გავიმეორე ფრჩხილებში. უზრდელები ეგო—ფუტურისტი და მისი მომავლინებელნი არიან, რომ ასეთ უმსგავსს და სულელურ „მიმართულებას“ მხარს უჭერენ, თორემ მე აქ რა შუაში ვარ? ქუთაისის საზოგადოების ნაღებმა ათასს მანეთზე მეტი გადაიხადა ამ სიტყვების გასაგონად ადგილობრივ, თუ მოსულ ფუტურისტთა ბაგეთაგან და მე რომ მუქთად ვამცნე მკითხველს სიბრძნენი ფუტურისტულ-- განა იმიტომ ვარ უზრდელი? ეხ, ჭკუავ, რა კარგი საქონელი ხარ, შე ოხერო, მაგრამ ვინ მისცა ჭკუა და სამართლიანობა ეგო—ფუტურისტებს? ავტ.

განა ჭკუათა მყოფელი ადამიანი „ახალმოვლენად“ „პოეზიის განახლებად“ ჩას თვლის იმ უცნაურსა და ქაჯურ ლექსებს, რომელსაც წერითა თუ ზეპირად არა კუნებენ ყველა ქვეყნის (და მათშორის ქართველების) ფუტურისტები?*) აბა, კარგად ჩაუკვირდით მათ ლექსებს ბატონებო, და სულ ქვეშა სთქვით, არის განა მათში რაიმე იზრის ნასახი? მაშ რაღას გვიწყრებიან „მეგობრელები“ რას გვედავებიან და ან რად უნდათ თავის მსგავსად სხვებიც გზიდან გადაადგონ?

ბ ნი კააენსკი და ძმანი მისნი რამდენადაც უნდა დაავადდენ, იმდენი ჭკუა მაინც დარჩებათ, რომ გიმნაზიის მეოთხე თუ მეხუთე-მეექვსე კლასიდან გამოსულ ჩვენებურ „ფუტურისტების“ ჭკუას მაინც აჯობოს, ვინაიდგან, როგორც ფუტურისტ-ჰოლცშმიდტის მოხსენებიდან გავიგეთ, იმათ ზოგს უმაღლესი სწავლა მიუღიათ და ზოგს უმაღლესი აღზრდა, ზოგი დიდი მემამულე ყოფილა და ზოგსაც იმდენი ქონება ჰქონია, რომ პატრონები როგორმე მოუვლიან თავიანთ ავადმყოფებს, მაგრამ როცა ჩვენებური ბეჩავი „ივანიკას“ ან „პეტრიკელას“ უვიცი შვილი დაიწყებს ფუტურისტობას, სულ მთლად დაღუპება ოჯახიცა და სახლ კარიც! აი რატომ გვტკივა გული და რატომ გვინდა მაგი გამოფხიზლება, თორემ გასიყოფი მათთან რაი გვაქვს?..

რუსები ას-ორმოცდა ათ მილიონამდეა და ამდენ ხალხში ასი და ათასი გიჟი რომ იყოს, ამითი რუსებს არა დაეტყობათრა, მაგრამ ასსა და ორას ვითომდა განათლებულ ქართველებში ათმა და ოცმა კაცმა განგებ რომ თავი მოიგიჟინოს საქართველოს დიდი ზარალი მოუვა.

აი, რა გვაწუხებს, თორემ ჩვენებურ ეგო-ფუტურისტებს, თავში ქვა უციათ და მუცელში სამართობელი, თუ კი სიკეთე არ უნდათ და ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ეჩვენებათ!..

შეიძლებოდა აქაც დაგვესვა უკანასკნელი წერტილი, ვინაიდგან უფრო ნაკლები მასალა მიეცეოდათ ულირსებს ჭეშმარიტი გულის ტკივილის გასალანძღავად, მაგრამ არ შემიძლია ერთი მტკნარი, სიგიჟის დამამტკიცებელი თვისებაც არ აღვნიშნო ყველა ქვეყნის (და მათ შორის ქართველ) ფუტურისტებისა.

ეს თვისება გახლავსთ ფუტრისტებისაგან ერთმანეთისა და თავის-თავის ქება..

„მე ფილოსოფოსი ვარ, ჩემი ამხანაგი კომენსკი კი ყოველმხრივ უზენაესი ნიჭის პატრონიაო“. ბრძანა ფუტურისტმა—გასტროლიორმა ბ-ნმა ჰოლცშმიდტმა.

დავიჯეროთ, ვიწამოთ! მაგრამ რაღა თითონ უკეთებს თავის-თავსა და თავის მეგობრებს ასეთს „რეკომენდაციას“?

მთქმელისა, თუ მწერლის დაფასება საზოგადოების საქმეა ჭკვიან ხალხში, თავის-თავის ამაღლება კი გიჟების თვისებაა. დასამტკიცებლად მოვიყვან უბრალო ფაქტს.

თბილისში, სოლოლაკის მთის ძირას, არის ერთი საგიჟეთი. ერთხელ მომიხდა მისი დათვალიერება.

შევედი თუ არა ეზოში, რამდენიმე საცოდავი გიჟი დავინახე. ერთ იერთ კუთხეში მიმდგარიყო, მეორე მეორეში, ბურტყუნებდენ თავისთვის გულ საკლავად, მერე მობრუნდებოდენ ხოლმე და იფურთხებოდენ...

შენ ვინა ხარ?—დაეკითხა ერთ მათგანს ფერშალი.

—მე? მე ნაპოლეონი ვარ?

—შენ ვინ—ღა ხარ?—დაეკითხა მეორეს.

—მე? მე მკრტიჩ მეხუთე ვარ.

—შენა? დაეკითხა მესამეს.

—მე? მე ბისმარკი ვარ! ამაყად გვიპასუხა გიჟმა და ისეთი თვალით გადმოგვხედა თითქოს მართლაც მის ტვინს არა დაჰკლებოდეს რა *)

*) ჩვენი ხალხი გადაბრუნებულ სიტყვა პასუხს ქაჯურს უწოდებს. ავტ.

*) Прошу культурнаго вниманія!-ო უბრძანა ბ-ნმა ფუტურისტმა ჰოლცშმიდტმაც ქუთაისის საზოგადოებას, როცა მას სიცილი აუტყდა „Танго съ коровами“-ს გაგონებაზე. ის, ვინც ძროხებთან ტანგოს თამაშობს, ისიც კა ჩვენ, ქართველებს, უკულტუროს გვიძახის, ვაი ჩვენი ბრალი! ავტ.

სწორედ ეს საცოდავნი გამახსენეს ჩვენმა მოსულმა თუ დამხვედრმა ფუტურისტებმა, როდესაც მათი ერთმანეთისადმი ქება დიდება და მათი ლექსები მოვახსენე.

ღმერთმა უწყის რას ბოდიალობდენ და რას ამბობდენ?

ვისურვოთ, რომ ჩვენ უბედურსა და ყოველ მხრივ დაჩაგრულს ქვეყანას ნაკლებად ჰყოლოდეს ფუტურისტები, უცხო ერის ფუტურისტებიც სულ აღარ მოსულიყვნენ საქართველოში, ისეთი მანეთები, რომელიც ასე უდარდელად გაიღო ქუთაისის საზოგადოებამ, კვლავ გაეღოთ უფრო სასარგებლო საქმისათვის და ჩვენი ხმაც არ დარჩენილიყოს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!..

საქართველოს ეპივრება არა ფუტურო და სულით დაავადებულთა კაჭკაჭა ლექსები, არამედ მას ეპირვება განათლებული, დაფიქრებული და საღი მწერლობა...

და ასეთი მწერლები კი მხოლოდ მაშინ გამრავლდებიან, როცა თვით საზოგადოება კუდთ ქვას ასროლინებს ფუტურისტებს ჩვენის ცხოვრების ყოველგვარ ასპარეზიდან. ისევ ის.

——

p. s. ახლა კი ნებას ვაძლევ ჩვენებურ გო—ფუტურისტებს თუნდა დედ-მამაც შეშომაგინონ. სირცხვილი იმათ, თორემ მე მოვალე ვიყავ, მეთქვა ის, რაცა ვსთქვი ი. ი

რუსეთი.

მთავრობას აზრადა აქვს სესხი აძლიოს იმ ბანკებს, რომლებიც პურის სყიდვა-მოგროვებაში მთავრობას დაეხმარება.

——

სათათბიროს დეპუტატების სიტყვით პროტოპოპოვს გადაუწყვეტია უფრო რო შეამციროს საზოგადო ორგანიზაციების მონაწილეობა სასურსათო საქმეში და მათ მაგივრად ბანკები მოიშველიოს.

——

მმართველ წრეებში შეუდგენიათ და განუხილავთ კიდეც მთელ რუსეთში კინემატოგრაფების მონოპოლიზაციის შესახებ. სახელმწიფო კინემატოგრაფებს ორი მიზანი უნდა ჰქონდეთ ფინანსიური და განმანათლებელი.

——

განსაკვიფრებელ ამბავს იტყობინება „რუს. სლ''. ამ ერთი წლის წინად მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტს ჩერნიგოვში ერთი ვაგონი შაქარი უყიდნია, და დღემდისაც არ მიუღიათ იგი; არც კი იციან თუ რომე არსებობს ის ვაგონი კიდევ, თუ არა.

უცხოეთი.

როგოროც ვენიდან იტყობინებიან, 14 ოქტომბერს ავსტრიის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გადაუწყვეტიათ, მთელი საბჭო თანამდებობიდგან გადადგეს.

——

ეხლახან მოკლული ავსტრიის პრემიერი პოლონეთის მოწყობის შესახებ გერმანელების მიერ შედგენილი პროექტის განხორციელების და რეიხსრატ-ს მოწვევის წინალმდეგი იყო.

——

ავსტრიის მინისტრთა კაბინეტის შედგენა გერმანელთა პარტიის კანდიტატისთვის კერბერისათვის მიუნდვიათ.

——

ავსტრიის მთავრობას ახალი „წითელი წიგნი“ გამოუქვეყნებია, რომელშიაც მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო უფლებათა დარღვევას აღნუსხავს. ხსენებული წიგნი მრავალ ძარცვა გლეჯასა და სისასტიკეს აბრალებს რუსის ჯარს.

——

ამას წინად ნამდვილი შორის. გამარჯვება ჩინელებს რგებიათ. ბრძოლა გაჩაღდა ჩინეთის გაწვრთნილ ჯარსა და მეამბოხე მონგოლთა ბელადი ბაბ-უჯანი მოუკლავთ და თვით მონგოლები კი გაუფანტიათ.

——

ჩინეთის მთავრობა იაპონიაში განსაკუთრებულ დესპანსა ჰგზავნის, რათა მან ჩინეთის იქაურ ელჩთან ერთად სთხოვოს იაპონიის მთავრობას, რომ მან შეამციროს ჩინეთისადმი წარდგენილი პოლიტიკური მოთხოვნილებანი და ამით ხიფათი ააცილონ ჩინეთს.

——

,,რუს. სლ''ს ცნობით 12 ოქტომბერს გერმანელთა ცეპელინებს ჰოლანდიის მიწაწყალზე უფრენიათ და პროექტორების შეშწეობით ზღვის ნაპირის სიმაგრეები დაუთვალიერებიათ.

წერილი რედაქციის მიმართ.

——

ღრმად პატივცემულო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განუსაზღვრელი და გულწრფელი მადლობა გადაუხადო ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადათ, წერილობით თუ დეპეშებით მანუგეშეს და თანაგრძნობა გამომიცხადეს იმ გულწრფილ სიტყვიერებისა და შეურაცხყოფისა გამო, რომელიც ალმასხან კალანდაძემ მომაყენა ქ. ოზურგეთში ამა წლის 18 ენკენისთვეს.

გიორგი შუმლაძე.

——

P. s. ვსთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

რედაქტორი ი. ციწიკაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 7 ს. 25 წ	
„	— საღამ.	— 8 ს. 50	„
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს. 40	„
„	— ღამის	— 2 ს. 20	„
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 26	„
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს. 00	„
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. —	„
„	— ღამის	— 12 ს. 15	„
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს. 3	„
„	— დილის	— 5 ს. 55	„
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	„
ტყიბულისკენ	— დილის	— 8 ს. 13	„
შორაპნისაკენ	— დღით	— 5 ს. 18	„

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს ბაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, სალმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია ჰიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და ნასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით. თ.

სუსუნატი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი „**ბოტნოზანით**“ ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უბარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის.

Р Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3

ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგივრ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **კ. შამერზაშვილის საფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ეგზეა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სასადე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წდიური)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან